№476 2012 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

„2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 15 მარტის №92 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/03/2012, 470230000.10.003.016765) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №7 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5,464 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	მომსახურებები	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ანტენატალური მეთვალყურეობა	2,443.5
2	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა	1,500
3	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	303
4	ორსულებში B ჰეპატიტის, აივ-ინფექციის/შიდსის და ათაშანგის	374

	განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა	
5	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე	793
6	ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	50.5
სულ:		5,464.”.

2. №9 დანართის (ნარკომანია) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 2,775 ათასი ლარით:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია	618
2	ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების უზრუნველყოფა	1,566
3	ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის შესყიდვა	567
4	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	24
სულ:		2,775.”.

3. №10 დანართის (დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 21,128 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	8,523
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	139
3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	11,810
4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	300
5	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	332
6	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	24
სულ:		21,128.”.

4. №11 დანართის (ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 2,789.4 ათასი ლარით:

№	კომპონენტი	ბიუჯეტი

		(ათასი ლარი)
1	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა	1,884.4
2	ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა	309
3	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	592
3.1	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	402
3.2	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	190
4	ინკურაბელური პაციენტებისათვის სამედიცინო ცნობებისა და რეცეპტების გაცემა	4
სულ:		2,789.4 .”.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 25 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**